



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თამუნა ანესაშვილი

პრეზუმფციები და მისი მნიშვნელობა მტკიცების პროცესში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნუნუ კვანტალიანი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გორი

2020

ანოტაცია

ნაშრომში განმარტებულია სასამართლო მტკიცების, როგორც საქმის მონაწილეთა დეტალურად მოწესრიგებული საქმიანობის ცნება; გაანალიზებულია მტკიცების არსი და მტკიცების, როგორც აზრობრივი, გონებრივი საქმიანობის მიზანი სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ასევე, ყურადღება გამახვილებულია იმ ძირითად მომენტებზე, რომლებსაც მტკიცების არსის წვდომისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა. ნაშრომის ერთ-ერთი ქვეთავი ეხება მტკიცების საგანს, რისი დამტკიცება-დადასტურების მიზნითაც ხორციელდება მთლიანად მტკიცებითი საქმიანობა; იქვე გადმოცემულია მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში შედარებულია საქართველოსა და გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართალი მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებთან დაკავშირებით.

ნაშრომის ერთ-ერთ ქვეთავში მოცემულია პრინციპის ზოგადი დახასიათება, მისი მნიშვნელობა და სახეები. ასევე, გაანალიზებულია შეჯიბრებითობის პრინციპი, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების გარანტი.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეხება მტკიცებულებით პრეზუმფციებს. თავდაპირველად, მოცემულია პრეზუმფციების ზოგადი დახასიათება, შემდეგ სამოქალაქო პროცესში ყველაზე ხშირად გამოყენებული პრეზუმფციების სახეები. აქვე საუბარია პრეზუმფციების როლსა და მნიშვნელობაზე, განხილულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ხაზს უსვამს პრეზუმფციების მნიშვნელობასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ბოლოს კი, ნაშრომის დასკვნითი ნაწილი ეხება სანივთო და შრომითსამართლებრივ დავებში არსებულ პრეზუმფციებს და დასკვნას, რომელშიც ლოგიკური მსჯელობის შედეგად შეჯამებულია ნაშრომში განხილული საკითხები.

Presumptions and their importance in the processes of statement

Anotation

In this work is defined justical statement as a conseption of the partisipants circumstantinlly well-arranged occupation.

Here is relised the essance of statement and statement as a goal of intelectual work in the civil proceedings and also attention is focused on the basic moments, which are important for accessing essance of statement.

One of the subsection of this work is about the subjact of statement with the purpose of confirm is achieved the whole work of statement. There is also practical definition of the subjact of statement. In this work is compared Georgian and German civil procedural justice connecting with facts of statement subjact.

In one of the subsaction there is general description of principle it's importance and forms.

Here is also defined principle of competitiveness as a garant of sharing the load of statement. The main part ia about effirmative presumptions.

First of all here is the general description of presumptions and their forms which are often used in civil process.

In this work is spoken about role and importance of presumptions and is discussed the practic of Georgian Supreme Court which emphasizes the importance of presumptions in the civil proceedings.

And the final part of this work is about presumptions and conclusions which are in arguments of in commodity and labour lows in which as a result of logical talk all subjacts discussed in this work are summarised.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I. მტკიცება	7
1.1 მტკიცების ცნება, არსი და მიზანი.....	7
1.2 მტკიცების საგანი	11
1.3 შეჯიბრებითობის პრინციპი მტკიცების პროცესში	15
1.3.1 შეჯიბრებითობა, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების გარანტი	17
თავი 2. მტკიცებულებითი პრეზუმფციები	20
2.1 ზოგადი დახასიათება, განმარტება	20
2.2 სამოქალაქო საქმეთა განხილვისას ყველაზე ხშირად გამოყენებული პრეზუმფციების სახეები.....	24
თავი 3. პრეზუმფციები, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველი, და პრეზუმფციების როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო სამართალში.....	27
3.1 პრეზუმფციები სავინდიკაციო დავებში.....	28
3.2 ვალდებულების შესრულების პრეზუმფცია	30
3.3 ფულადი ვალდებულების შესრულების პრეზუმფცია მოპასუხის სასარგებლოდ.....	31
3.4 პრეზუმფცია სესხის სახელშეკრულებო - სამართლებრივ დავებში	33
3.5 პრეზუმფცია რწმუნებულის (მოსარჩელის) სასარგებლოდ	34
3.6 პრეზუმფცია მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით.....	35
3.7 პრეზუმფცია მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხის-სახელმწიფოს წინააღმდეგ	36
3.8 მოსარჩელის სასარგებლოდ სამედიცინო დაწესებულების ბრალით ჯანმრთელობის დაზიანების პრეზუმფცია	40
3.9 კანონისმიერი პრეზუმფცია მოსარჩელის სასარგებლოდ დავაში სასაქონლო ნიშნის თაობაზე	41
თავი 4. პრეზუმფციები სანივთო სამართალში	44
4.1 მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია	44
4.2 რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.....	49
თავი 5. პრეზუმფცია შრომითსამართლებრივ დავებში	51
დასკვნა	54
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.....	56

შესავალი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, საქართველოს უზენაესი კანონი - კონსტიტუცია, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ყოველი პირისათვის უზრუნველყოფს უფლების სასამართლო წესით დაცვას. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეები დარღვეული უფლების დასაცავად “იბრძვიან” შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით აღძრან დავა სასამართლოში, დაასახელონ ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი მტკიცებულებებით გაამყარონ აღნიშნული ფაქტები სასამართლოში. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოში წარადგენენ მხარეები და ისინი თვითონ წყვეტენ რომელ გარემოებებზე დააყრდნონ მათი მოთხოვნები და შესაგებელი; სასამართლოს მათთვის მხოლოდ დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შეთავაზების უფლება აქვს.

სასამართლოში მხარეების მიერ მითითებული ყველა ფაქტობრივი გარემოება უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებით მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტის მიერ, რათა მტკიცებულების წარუდგენლობამ არ გამოიწვიოს მისთვის არახელსაყრელი მატერიალურ - სამართლებრივი შედეგის დადგომა, თუმცა აღნიშნულიდან არსებობს გამონაკლისი, იმ სამართლებრივი ინსტიტუტის სახით, როგორცაა პრეზუმფცია.

დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი შეიცავს პრეზუმფციას არაერთ სახეს, თუმცა საპროცესო კანონმდებლობაში არც ერთი ნორმა არ გვაქვს ისეთი, რომელიც შეიძლება მკაფიოდ აღწერდეს პრეზუმფციის სამართლებრივ ბუნებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა გავარკვიოთ პრეზუმფციის არსი, აღვწეროთ მისი სახეები და განვსაზღვროთ მისი მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ასევე დავადგინოთ ის შედეგები, რაც მის არსებობას შეიძლება მოჰყვეს.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია მტკიცების არსი, პრეზუმფციების სამართლებრივი ბუნება და მისი გავლენა სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია დოგმატურ - სამართლებრივი, შედარებითი, ლოგიკური და სამართლის ნორმათა ანალიზის კვლევის მეთოდები.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 57 გვერდის, შესავალის, 5 თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

პირველი თავი ეხება მტკიცების არსს, მტკიცების მიზანს, შეჯიბრებითობის პრინციპს მტკიცების პროცესში და მტკიცების საგანს. მეორე თავში განხილულია პრეზუმფციების ზოგადი დახასიათება და მისი სახეები. მესამე თავში გაანალიზებულია პრეზუმფციების როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ასევე სასამართლო პრაქტიკა. მეოთხე თავში მოცემულია პრეზუმფციები სანივთო სამართალში (მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია, საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმფცია ახალ კრედიტორზე იპოთეკისა და მოთხოვნის გადასვლისას, რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია), ხოლო მეხუთე თავში განხილულია პრეზუმფციები შრომითსამართლებრივ დავაში.

თავი I. მტკიცება

1.1 მტკიცების ცნება, არსი და მიზანი

„სასამართლოში საქმის განხილვის მიზანია სამართლის სუბიექტების უფლებებისა და ინტერესების დაცვა (აღდგენა). ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სასამართლო დაადგენს საქმის გარემოებებს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს (მათ შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს).”¹

ამიტომ სასამართლოს ამოცანაა, რომ სწორად და დროულად განიხილოს და გადაწყვიტოს სამოქალაქო საქმე. ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა, როგორც ცნობილია, წარმოუდგენელია შემეცნების გარეშე. ჭეშმარიტების დადგენის ყოველი პროცესი არის შემეცნების პროცესი. მაგალითად, სამოქალაქო პროცესში საქმის განხილვის დროს სასამართლოს ძალისხმევა მიმართულია საქმის ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეგროვილი მასალის შეფასებისკენ. სასამართლოს საქმიანობა, რომლის მიზანია იმ ფაქტების უტყუარად გამორკვევა, დადგენა, რომლებზეც დამოკიდებულია მხარეთა შორის არსებული დავის გადაწყვეტა, აგრეთვე წარმოადგენს შემეცნებითი საქმიანობის სახესხვაობას.²

„ამიტომ სასამართლო შემეცნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ხორციელდება საქმის არსებითად გადაწყვეტის დროს სასამართლოს მიერ სამართლის ნორმების სწორად შეფარდების უზრუნველსაყოფად.”³

„სასამართლოსა და მხარეთათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იურიდიული და მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებს, შესაბამისად გამოკვლეულ უნდა იქნეს მხოლოდ ასეთი ფაქტები. შემეცნებით საქმიანობაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობს სამართალწარმოების მონაწილეთა უმრავლესობა, მაგრამ მხოლოდ სასამართლოს

¹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 206

² იქვე

³ იქვე

შემეცნების შედეგებს აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა მართლმსაჯულების განხორციელების დროს.”⁴

„მანამ, სანამ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ნამდვილად არსებობს სადავო უფლება ან კანონიერი ინტერესი, მან ზუსტად უნდა დაადგინოს ის ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება ეს უფლება ან ინტერესი.”⁵

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომელთაც მატერიალური სამართლის ნორმები უკავშირებს სამართლებრივ შედეგებს, როგორც წესი, წარმოიშობა და არსებობს სამოქალაქო პროცესამდე, ამიტომ სასამართლო ვერ შეძლებს მათ შესახებ ცოდნის მიღებას უშუალოდ, თუ არ გამოიყენებს მტკიცებულებებს და თუ არ მიმართავს მტკიცებას.⁶

სამოქალაქო პროცესში განასხვავებენ სასამართლო შემეცნების ორ ფორმას: უშუალო (ემპირიულ) შემეცნებას, როცა საქმის გარემოებები მოსამართლისა და ასევე შემეცნებითი საქმიანობის სხვა სუბიექტების უშუალო აღქმის ობიექტია და გაშუალებულს (მტკიცება), როცა საქმის გარემოებები არ წარმოადგენს შემეცნების სუბიექტების უშუალო აღქმის ობიექტს, არამედ ეს სუბიექტები შეიმეცნებს მათ სხვა პირთაგან მიღებული ცნობების საფუძველზე, უტყუარად დადგენილი ფაქტის საფუძველზე.⁷

საქმის განხილვის დროს შესრულებულ საპროცესო მოქმედებებს მოსამართლეები შეიმეცნებენ გრძნობის ორგანოებით.⁸ მაგალითად, სსკ 120-ე მუხლი ითვალისწინებს ადგილზე დათვალიერებას, რომელსაც აწარმოებს საქმის განმხილველი სასამართლო. ადგილზე დათვალიერების შედეგები შეიტანება ოქმში, რომელსაც შეიძლება დაერთოს დათვალიერების დროს შედგენილი ან დამოწმებული გეგმები, ნახაზები და ა.შ. სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გრძნობადი აღქმის გზით დადგენის დასაშვებობა შეიძლება იმით დასაბუთდეს, რომ ასეთი აღქმისას საჭირო არ არის ლოგიკური, აზრობრივი პროცესების ჩარევა, რადგან ემპირიულ საფუძველზე ხდება ფაქტის მხოლოდ კონსტატაცია. ეს ფაქტი ერთნაირად

⁴ იქვე

⁵ იქვე

⁶ იქვე

⁷ იქვე

⁸ იქვე

აღიქმება როგორც სასამართლოს, ისე ადგილზე დათვალიერებაში მონაწილე პირების მიერ, რის გამოც მათ არ შეიძლება დაებადოთ ეჭვი აღქმის ადეკვატურობაში აღსაქმელ საგანთან. როგორც მიუთითებს დ. უზნაძე, არასდროს ადამიანის ფსიქიკა ისე ახლოს არ დგას სინამდვილესთან, როგორც აღქმის შემთხვევაში, აქ სინამდვილე პირდაპირ მოქმედებს ჩვენზე და აღქმამ მისი მაქსიმალურად უშუალო ასახვა უნდა მოგვცე.⁹ შემეცნების მოცემული ფორმა საპროცესო თვალსაზრისით ეკონომიურია იმდენად, რამდენადაც ის სწრაფია და ასეთი შემეცნების შედეგები დამაჯერებელიცაა, თუმცა მისი გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია იმის გამო, რომ სამოქალაქო საქმის კანონიერად და დასაბუთებულად განხილვისა და გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების აბსოლუტური უმრავლესობა მომხდარია სასამართლო სხდომის გარეშე და საქმის განხილვამდე დიდი ხნით ადრე. ამიტომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ეს ფაქტები და მოვლენები აღიქვას უშუალოდ გრძნობის ორგანოების დახმარებით, რის გამოც აუცილებელია სასამართლო შემეცნების მეორე ფორმა - მტკიცება.¹⁰

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო შემეცნება თავისი ბუნებით უმთავრესად გაშუალებულია. გაშუალებულ სასამართლო შემეცნებას კი ეწოდება სასამართლო მტკიცება.¹¹

სამოქალაქო პროცესში სასამართლო მტკიცება წარმოადგენს სასამართლოს, საქმის მონაწილეთა და სხვა სუბიექტების საპროცესო სამართლით დეტალურად მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ ცნობების გამოკვლევა ანუ ფაქტების დადგენა. ეს საქმიანობა ხორციელდება მტკიცებულებების მეშვეობით. ამ ფაქტების დადგენაზეა დამოკიდებული მხარეთა შორის წამოჭრილი დავის არსებითად გადაწყვეტა.¹²

„ყოველგვარი მტკიცება აზრობრივი, გონებრივი საქმიანობაა და სასამართლო მტკიცება ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამასთან, მტკიცება სასამართლოში

⁹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი 1940, გვ. 463, იხ.: ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი 2005, 151

¹⁰ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 207

¹¹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 207

¹² იქვე

ეყრდნობა არა მხოლოდ ლოგიკის კანონებს, არამედ წესრიგდება საპროცესო ნორმებითაც, რომლებიც დეტალურად აწესრიგებენ მტკიცებულებითი საქმიანობის მთელ პროცესს.”¹³

მტკიცების არსის წვდომისთვის მნიშვნელობა აქვს შემდეგ მომენტებს:

1) მტკიცება ესაა სასამართლოს, საქმის მონაწილეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც ფორმითა და შინაარსით იურიდიული საქმიანობაა, ვინაიდან ზუსტად და დეტალურადაა მოწესრიგებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

2) მტკიცების ცნება განუყოფლადაა დაკავშირებული მტკიცებულებებთან, რამეთუ მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მათ საფუძველზე შეიძლება დადგინდეს განსახილველი საქმის ფაქტების შესახებ ცნობები, რადგან მხოლოდ სასამართლო ეხმარება მხარეებს მტკიცებულებათა შეგროვებაში, გამოკვლევასა და შეფასებაში.

3) სასამართლო მტკიცებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ფორმალური ლოგიკის წესები, ვინაიდან თვითონ მტკიცების პროცესი და მტკიცების პროცესის შედეგი ლოგიკურად სწორი უნდა იყოს. სასამართლო მტკიცება ერთდროულად საპროცესო და ლოგიკური საქმიანობაცაა.¹⁴

სასამართლო მტკიცება იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ უნდა განისაზღვროს, თუ რომელ გარემოებებს აქვს არსებითი მნიშვნელობა, რისთვისაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მატერიალური სამართლის იმ ნორმის ჰიპოთეზითა და დისპოზიციით, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული და გავითვალისწინოთ მხარეთა მიერ აღძრული მოთხოვნები და შესაგებელი.¹⁵

„ამრიგად, განისაზღვრება რა მტკიცების საგანი მოცემულ საქმეზე, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცება მხარეების მიერ.”¹⁶ მხარის მტკიცება კი მიმართული უნდა იყოს იმაზე, რომ მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების ჭეშმარიტება უფრო სავარაუდოა, ვიდრე უმართლობა.¹⁷

¹³ იქვე

¹⁴ იქვე, 207-208

¹⁵ იქვე, 208

¹⁶ იქვე, 208

¹⁷ Mike Redmayne - „Standards of Proof in Civil Litigation”

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ სასამართლო მტკიცება მიეკუთვნება ფაქტების შემეცნების გაშუალებულ ფორმას და ის წარმოადგენს სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომელშიც მონაწილეობს არამხოლოდ სასამართლო, არამედ პროცესის სხვა მონაწილეებიც. მტკიცებითი საქმიანობა მიმართულია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა - დადასტურებაზე. სასამართლო კი სწორედ გამოკვლეული ფაქტების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას და ადგენს საქმის საბოლოო შედეგს. ამრიგად მტკიცებაზეა დამოკიდებული მხარეთა დარღვეული უფლებების აღდგენა და მათთვის ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი შედეგის დადგომა.

1.2 მტკიცების საგანი

„შეუძლებელია დაამტკიცო თუ არ იცი რა უნდა დაამტკიცო. ის, რისი დამტკიცება - დადასტურების მიზნითაც ხორციელდება მტკიცებითი საქმიანობა არის მტკიცების საგანი.“¹⁸

სამოქალაქო საქმეზე მტკიცების საგანია იურიდიული ფაქტები, რომლებზეც ემყარებიან მხარეები როგორც თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებლის საფუძველზე და რომლებიც უნდა დადგინდეს კანონით განსაზღვრული წესით, სამოქალაქო საქმის კანონიერად და დასაბუთებულად გადაწყვეტის მიზნით.¹⁹

მტკიცების საგანს განსაზღვრავენ მხარეები მატერიალური სამართლის ნორმის საფუძველზე.²⁰

მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ, მტკიცების საგნის შევიწროება ნიშნავს საქმის არსებითი ხასიათის გარემოებათა ერთი ნაწილის დატოვებას ჯეროვანი გამოკვლევის გარეშე, რაც საბოლოოდ გამოიწვევს საქმის განხილვის ცალმხრივობას, ხოლო მეორე მხრივ, მტკიცების საგნის უსაფუძვლო გაფართოება გამოიწვევს საქმისთვის უმნიშვნელო მასალის შეკრებას - ძალისა და საშუალებების უნაყოფოდ ხარჯვას,

¹⁸ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი 2005, 152

¹⁹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 226

სასამართლოს ყურადღების გაფანტვას უმნიშვნელო გარემოებებზე. საბოლოო ჯამში კი საქმის გამოკვლევა - განხილვის სრულიად გაუმართლებელ გაჭიანურებასა და ზედმეტი საპროცესო ხარჯების გაწევას.²¹

სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგნის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი:

- 1) მაორიენტირებელ ფუნქციას ასრულებს სასამართლო მტკიცებაში;
- 2) განსაზღვრავს სასამართლო შემეცნების მოცულობასა და ფარგლებს;
- 3) წარმოადგენს საქმეში არსებული თითოეული მტკიცებულების შესახებობის გამორკვევის კრიტერიუმს.²²

კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვა და გადაწყვეტა ყოველთვის დაკავშირებულია ისეთი ფაქტების დადგენის აუცილებლობასთან, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც თავისი ხასიათითა და შინაარსით, ასევე იმ შედეგებით, რომლებსაც მათ უკავშირებს კანონი. მაგალითად, სარჩელის მიღების დროს სასამართლომ უნდა დაადგინოს ისეთი გარემოებების არსებობა-არარსებობა, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი შედეგი, როგორცაა სარჩელის განსახილველად მიღება, სარჩელის განუხილველად დატოვება და ა.შ. ასეთი ფაქტების დადგენაზე არ არის დამოკიდებული საქმის არსებითად სწორად განხილვა და გადაწყვეტა. ისინი მხოლოდ სამოქალაქო საქმის განხილვის, სამოქალაქო პროცესის აღმოცენების და განვითარების წინაპირობებია, რომლებსაც სარჩელის უფლების წინაპირობებსაც უწოდებენ. მაგალითად სასამართლომ ჯერ კიდევ სასარჩელო განცხადების მიღებისას უნდა დაადგინოს ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლო ორგანოების განხილვას, არის თუ არა ეს სარჩელი ამ სასამართლოს განსჯადი და სხვა.²³

ზემოაღნიშნულ გარემოებებს კანონი უკავშირებს მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივ შედეგს, კერძოდ სარჩელის მიღებას ან მიღებაზე უარის თქმას.²⁴ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადებითად გადაწყდება სარჩელის დასაშვებობის საკითხი

²⁰ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 226

²¹ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2013, 69

²² ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 227

²³ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი 2005, 153

²⁴ იქვე

და სასამართლო მას მიიღებს წარმოებაში, წამოიჭრება მეორე საკითხი - რომელი ფაქტები უნდა იქნეს დადგენილი იმისთვის, რომ სასამართლომ შეძლოს არსებითად სწორად გადაწყვიტოს საქმე.²⁵ ესენია მატერიალურ სამართლებრივი ფაქტები, რადგან მათ უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, კერძოდ მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის ან მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებულად ცნობა და დაკმაყოფილება, ან ასეთ დასაბუთებულობაზე და დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმის მიხედვით დამტკიცდა თუ არა ამ მოთხოვნის (შესაგებლის) საფუძველში მითითებული ფაქტები.²⁶

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტებისა, სამოქალაქო პროცესში საჭიროა დადგინდეს და დადასტურდეს ასევე მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საქმის სწორად გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების ანუ მთავარი საძიებელი ფაქტების არსებობა-არარსებობის დამტკიცება. ამ ფაქტებს სხვანაირად მტკიცებულებით ფაქტებს (მტკიცებულებებს) უწოდებენ.²⁷

ამრიგად, კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტისას, მოსარჩელემ უნდა დაადგინოს სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მქონე ისეთი ფაქტები, როგორცაა:

- 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ - სამართლებრივი შედეგი;
- 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი;
- 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.²⁸

სამივე ჯგუფის ნებისმიერი ფაქტი მოითხოვს დამტკიცებას სასამართლო მტკიცებულებათა მეშვეობით, ვიდრე სასამართლო მიიღებს ამ ფაქტს, როგორც სინამდვილეში არსებულს.²⁹

²⁵ იქვე

²⁶ იქვე

²⁷ იქვე, 154

²⁸ ძლიერიშვილი, ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბილისი, 2007, 12, 13, იხ.: გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2013, 71

მტკიცების საგანი სამოქალაქო პროცესში არის არა ყველა ეს ფაქტი, არამედ მხოლოდ საჩივრის საფუძვლისა და შესაგებლის იურიდიული ფაქტები, რომლებზეც მიუთითებს მატერიალური სამართლის ნორმა³⁰. „ე.ი მტკიცების საგანია მატერიალურ - სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება - გამართლების მიზნით.“³¹

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, გერმანული საპროცესო სამართლის თეორია მტკიცების საგანში მოიაზრებს არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ უცხო ქვეყნების სამართლებრივ ნორმებსაც.“³²

ერთმანეთისაგან განასხვავებენ გარეგან და შინაგან ფაქტებს. შინაგან ფაქტებს წარმოადგენს განზრახვა, განსაზღვრული გარემოებების ცოდნა. განსხვავება შინაგან და გარეგან ფაქტებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ შინაგანი ფაქტები შესაძლოა მიუღწეველი იყოს და ისინი როგორც წესი დგინდება გარეგანი ფაქტების მეშვეობით. მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები კლასიფიცირდება დადებით და უარყოფით ფაქტებად. მათი ამგვარი კლასიფიკაცია დამოკიდებულია მოვლენაზე ან ქმედებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ან განხორციელდა, რომელსაც ადგილი არ ჰქონია ან არ განხორციელებულა. გარდა ამისა, გერმანული საპროცესო სამართლის თეორიაში ერთმანეთისგან განასხვავებენ ფაქტებს, რომლების უშუალო კავშირშია გამოსაყენებელი ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობასთან და ირიბ ფაქტებს, რომლებსაც არ აქვს მნიშვნელობა საქმისთვის.³³

როგორც ვხედავთ, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორია ზუსტად აღწერს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების რაობას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, მტკიცების საგანში მოიაზრებს არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ გამოსაყენებელი უცხო ქვეყნის სამართალსაც. რაც საინტერესოა საქართველოს საპროცესო სამართლისთვისაც არსებული გლობალიზაციის პირობებში,

²⁹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 228

³⁰ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 228

³¹ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი 2005, 155

³² გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2013, 67

³³ Гражданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 63. იხ.: გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2013, 68

კერძოდ ადგილობრივი ფიზიკური და იურიდიული პირები სახელშეკრულებო ურთიერთობებში შედიან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, რაც გარკვეულ შემთხვევებში წარმოშობს დავებს და შესაბამისად ქმნის, როგორც ეროვნული სამართლის, ისე უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენების გარდაუვალობას; სხვა ქვეყანაში მოქმედი სამართლის, ჩვეულებითი სამართლის, წესდების გამოყენება საჭიროებს მტკიცებას, იმ თვალსაზრისით, რომ ისინი უცნობია ეროვნული სასამართლოებისთვის. ამგვარი სამართლებრივი ნორმების შინაარსის დადგენის შემთხვევაში, სასამართლო არ არის შემოფარგლული მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სხვა წყაროებიც.³⁴ აღნიშნული მნიშვნელოვანია ასევე იქიდან გამომდინარეც, რომ საქართველო მიეკუთვნება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში შემავალ გერმანული იურიდიული მეცნიერების გავლენით ჩამოყალიბებულ სამართლის ოჯახს.³⁵

ამრიგად, მტკიცების საგანში მოიაზრება ის იურიდიული ფაქტები, რომლებსაც საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის აქვს მნიშვნელობა. მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრა კი პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმდენად, რამდენაც მისი მოცულობის შევიწროება - გაფართოებაზეა დამოკიდებული საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოების ზუსტად გამოკვლევა და პროცესის იმ პრინციპის გამოყენების რეალიზება, რომელსაც ეკონომიურობის პრინციპი ჰქვია.

1.3 შეჯიბრებითობის პრინციპი მტკიცების პროცესში

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში იყენებენ სხვადასხვა ცნებას, განსაზღვრებას, კატეგორიას, რომლებიც შემუშავებულია ხანგრძლივი დროის განმავლობაში სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში. ასეთ სამართლებრივ კატეგორიებს მიეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები.³⁶

³⁴ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2013, 68-69

³⁵ ხუბუა გ., სამართლის თეორია, 212

³⁶ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 41

სიტყვა “პრინციპი” მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს საფუძველს, საწყისს, ზოგად დებულებას, განყენებულ ცნებას, რომელიმე თეორიის, მეცნიერების ძირითად ამოსავალ დებულებას, სახელმძღვანელო იდეას.³⁷

ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები წარმოადგენენ ნორმატიულად დადგენილ მის ფუნდამენტურ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესის ბუნებასა და სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების მეთოდებს.³⁸

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები განსხვავდება მეცნიერების სხვადასხვა დარგის პრინციპებისაგან არამართო თავისი შინაარსითა და დანიშნულებით, არამედ იმითაც, რომ სამართლის პრინციპები ყოველთვის განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმით.³⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპი ეწოდება ისეთ სახელმძღვანელო დებულებას, ისეთ ძირითად იდეას, რომელიც განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმით და რომელზეც აგებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.⁴⁰

სამოქალაქო საპროცესო პრინციპი დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტია და ყოველთვის განმტკიცებულია რამდენიმე ნორმაში. აქედან გამომდინარე დაუშვებელია რომელიმე პრინციპის თვითნებურად შეცვლა, შემოღება ან მასზე უარის თქმა, რადგან ეს გამოიწვევს სამართლის მოცემული დარგის არსის რადიკალურ ცვლილებას.⁴¹

პროცესის პრინციპების უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პრინციპები საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების საგანთან, მეთოდთან და ამოცანებთან ერთად, სამართლის შესაბამისი დარგის ინდივიდუალიზაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს.⁴²

³⁷ იქვე

³⁸ იქვე

³⁹ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი 2005, 51

⁴⁰ იქვე

⁴¹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 42

⁴² იქვე

„პრინციპების პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უზრუნველყოფენ კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების გამოტანას და მათ აღსრულებას, კანონიერ მართლმსაჯულებას.“⁴³

საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები, როგორცაა: მოსამართლეთა დანიშვნისა და არჩევითობის პრინციპი, კანონიერების პრინციპი, კანონისა და სასამართლოს წინაშე პირთა თანასწორობის პრინციპი, შეჯიბრებითობის პრინციპი, დისპოზიციურობის პრინციპი, საქვეყნოობის პრინციპი, სამართალწარმოების ენის პრინციპი, უშუალოების პრინციპი და სხვ.⁴⁴

სამაგისტრო ნაშრომის სათაურიდან და თემატიკიდან გამომდინარე აღნიშნული პრინციპებიდან განვიხილავ მხოლოდ შეჯიბრებითობის პრინციპს, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველს.

1.3.1 შეჯიბრებითობა, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების გარანტი

საერთოდ შეჯიბრებითობა შედავებას, შებრძოლებასა და გამარჯვებისაკენ სწრაფვას ნიშნავს. სწორედ ასე ხდება სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს.⁴⁵

“სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.”⁴⁶

⁴³ იქვე, 41

⁴⁴ იქვე, 43

⁴⁵ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 50

⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4, ნაწილი I, კონსოლიდირებული ვერსია, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=143>

შეჯიბრის წესი შემდეგნაირია: სასამართლო თავისი ინიციატივით არ აგროვებს მტკიცებულებებს, არამედ საქმეს წყვეტს მხოლოდ იმ ფაქტობრივი მასალის მიხედვით, რომელსაც მას წარუდგენენ მხარეები.⁴⁷

შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნისა თუ შესაგებლის ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნასა თუ შესაგებელს და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.⁴⁸

შეჯიბრებითობის პრინციპი თანამედროვე ქართულ სამართალწარმოებაში არ გვხვდება სუფთა სახით. იგი გამოხატულებას პოულობს საპროცესო სამართლის სხვადასხვა ნორმაში და მდგომარეობს შემდეგში:

- 1) გადაწყვეტილებას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი ფაქტები;
- 2) მტკიცების ტვირთი ეკისრებათ საქმეში მონაწილე მხარეებს;
- 3) გადაწყვეტილება სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს მხოლოდ მხარეთა მიერ სადავოდ გამხდარი გარემოებების სარწმუნოდ დადასტურების შედეგად.⁴⁹

შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. შეჯიბრებითობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა საქართველოს სსსკ-ის 102-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებითობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა სსსკ-ის 232-ე პრიმა მუხლი, რომლის თანახმადაც მოპასუხის მიერ 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან,

⁴⁷ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 51

⁴⁸ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი 2005, 61

⁴⁹ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2013, 127

სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.⁵⁰

ამრიგად, პრინციპი წარმოადგენს საწყის, სახელმძღვანელო იდეას, რომელზეც აგებულია სამართლის კონკრეტული დარგი და ეფუძნება ამ იდეას. სამართლის პრინციპი ყოველთვის განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმებით. სამართლის პრინციპთან დიდი მნიშვნელობით სარგებლობს შეჯიბრებითობის პრინციპი, ვინაიდან მტკიცების პროცესი ამ პრინციპის სწორ და ჯეროვან რეალიზებაზეა დაფუძნებული.

⁵⁰ იქვე, 127-128

თავი 2. მტკიცებულებითი პრეზუმფციები

2.1 ზოგადი დახასიათება, განმარტება

მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის ნაწილდება სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ზოგადი წესისა და მატერიალური კოდექსის ნორმებში არსებული სპეციალური წესების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც პროცესის თითოეული მონაწილე ამტკიცებს იმას, რასაც ის მიუთითებს. მოსარჩელე მიუთითებს სარჩელის საფუძვლის ფაქტებს, ხოლო მოპასუხე - სარჩელის წინააღმდეგ წამოყენებული შესაგებლის ფაქტებს.⁵¹ მტკიცების ტვირთი პროცესის იმპერატიულ მოთხოვნად მიიჩნევა და მასზე და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა.⁵² „მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრება მხარეებს და ეს ტვირთი თანაბრად ნაწილდება მათ შორის.“⁵³

მტკიცების ტვირთის განაწილებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენის ზოგად წესს არსებითად ცვლის მტკიცებულებითი პრეზუმფციები. კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევაში, მტკიცების ვალდებულება ნაწილდება სწორედ მტკიცებულებითი პრეზუმფციის შესაბამისად.⁵⁴

ფილოსოფიური ენციკლოპედიის მიხედვით, პრეზუმფცია გულისხმობს სინამდვილის, რეალობის ვარაუდს. პრეზუმფციის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის, უკეთესად აღქმისათვის ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ვარაუდი და პრეზუმფცია.⁵⁵ ვარაუდი - ეს არის ობიექტური სინამდვილის აღქმის ერთ-ერთი საშუალება. საერთო ლოგიკური ვარაუდები საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში გამოიყენება, როგორც ჭეშმარიტებამდე მისასვლელი გზა. სამართალში

⁵¹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 234

⁵² მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, სტატიათა კრებული, ნუნუ კვანტალიანის რედაქტორობით, თბილისი 2016, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 1

⁵³ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გამომუშავებული და შესწორებული გამოცემა), თბილისი 2007, გამომცემლობა „სამართალი“, 202

⁵⁴ იქვე, 235

ვარაუდს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სამართლის ყველაზე უფრო “საზოგადოებრივ სფეროში” - სამოქალაქო სამართალში.⁵⁶ ვარაუდი არის ფაქტისადმი დამოკიდებულება, რომელიც დროებით, მტკიცებულებების მოპოვებამდე ითვლება ნამდვილად, ხოლო პრეზუმფცია ე.წ დადასტურებული ვარაუდია და არსებობს იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. პრეზუმფცია თავისი ლოგიკური არსით ინდუქციურ დასკვნას ემყარება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული წარმოადგენს კონკრეტული შემთხვევების განზოგადებულ დასკვნას. ინდუქციური დასკვნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფაქტის განმეორებადობას პრაქტიკაში, რასაც ლოგიკურ შედეგამდე მივყავართ. მაგალითად, ერთი და იგივე ფაქტი, თუ დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე შედეგს იძლევა, ფაქტს ლოგიკურად აღნიშნული შედეგი მოჰყვება. შესაბამისად, პრაქტიკაში ხშირად განმეორებადი ფაქტი იძლევა იმ შედეგის პრეზუმფციას, რა შედეგიც აღნიშნულ ფაქტს პრაქტიკაში სდევდა თან.⁵⁷

დაკვირვების შედეგად, მეუღლეთა თანაცხოვრება, ერთობლივი მეურნეობის წარმართვა, საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტა წარმოადგენს იმგვარი ვარაუდის საფუძველს, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების გასხვისების თაობაზე მეორე მეუღლე ინფორმირებულია. შესაბამისად, როდესაც ერთი-ერთი მეუღლე ასხვისებს ქონებას, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ მეორე მეუღლე ქონების განკარგვას ეთანხმება. აღნიშნული პრეზუმფციის ლოგიკური გამოხატულებაა სსკ-ის 1160-ე მუხლი, კერძოდ იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველით, რომ მან არ იცოდა აღნიშნული გარიგების შესახებ ან ის არ ეთანხმებოდა გარიგებას.⁵⁸

იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაზე, როდესაც ბავშვის დაბადებამდე ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმოება, ან მათი მხრიდან ბავშვის

⁵⁵ მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და პრაქტიკა, ტომი I, თბილისი 2020, 172

⁵⁶ იქვე

⁵⁷ იქვე

⁵⁸ იქვე, 172-173

ერთად რჩენა და აღზრდა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მამაკაცი ბავშვის ბიოლოგიური მამაა. იგივე დანაწესს შეიცავს სსკ-ის 1190-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმხცხადებელი პირის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის, ან/და რჩენის ფაქტებს, ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.⁵⁹

ამდენად, პრეზუმფციების ძირითადი წინაპირობაა ცხოვრებისეული პროცესების განმეორებადობა და მათი ურთიერთკავშირი, თუმცა მხოლოდ კავშირის არსებობა საკმარისი არ არის და აუცილებელია, რომ კავშირი ლოგიკური, გონივრული, მდგრადი და აუცილებლობით განპირობებული იყოს.⁶⁰

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ თეორიაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, პრეზუმფციებში ასახულია რეალობასთან გათანაბრებული ლოგიკური ჭეშმარიტება, თუმცა თუ ვიხელმძღვანელებთ თვით პრეზუმფციების არსით, ამგვარი დასკვნა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირები არ თავისუფლდებიან სამოქალაქო - სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ საფუძვლით, რომ მათ კანონი არ იცოდნენ, ვინაიდან კანონის ცოდნის პრეზუმფცია მოქმედებს და მისი არცოდნა პირს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალურთიერთობაში, უმეტესად, პასუხისმგებლობის განმაპირობებელ გარემოებას საფუძვლად კანონის არცოდნა ან არასათანადო გაგება უდევს. თუმცა ამგვარი პრეზუმფციების სიმცირის გამო, აღნიშნული უნდა განიხილონ გამონაკლისი წესიდან და არა წესად, ვინაიდან ამგვარი პრეზუმფციები არ უკარგავს პრეზუმფციების არსს რეალობის მაღალ ხარისხს და არ აქცევს მას ფიქციად. ხშირად ასეთ პრეზუმფციებს კანონმდებელი მიზანმიმართულად იყენებს, რათა დაცულ იქნეს საყოველთაო სამართლიანობა და თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვა. დასახელებული შემთხვევა, როგორც გამონაკლისი პრეზუმფციის რეალური არსიდან, მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც კანონმდებლის მიერ შემუშავებული პრეზუმფცია და არა პრეზუმფცია,

⁵⁹ იქვე, 173

რომელიც დროთა განმავლობაში რეალური ფაქტების ლოგიკური, სამართლიანი და მდგრადი კავშირის შედეგად ყალიბდება. ამდენად, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ პრეზუმფცია, რომელიც დროთა განმავლობაში ყალიბდება, ფაქტების განვითარების ემპირიული დაკვირვების შედეგად ვლინდება და გამოხატულებას პოულობს გამონათქვამში - “როგორც წესი” და პრეზუმფცია, რომელიც ე.წ. “დადგენილ წესად” ანუ პრეზუმფციად ნორმატიული რეგულაციის შედეგად იქცევა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნორმატიულად დადგენილ პრეზუმფციას უმეტესად წინ უსწრებს კანონმდებლის ნება. აღნიშნული ნორმატიულად დადგენილი პრეზუმფციის გამოხატულებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლის მიხედვითაც კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.⁶¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრეზუმფციების ჩამოყალიბება ფაქტების ინდუქციური ანალიზის შედეგია. პრეზუმფცია მით უფრო ახლოსაა რეალობასთან, რაც უფრო სრულია ინდუქციური ანალიზი. ინდუქციას ორი სახესხვაობა გააჩნია, ესენია: პოპულარული და მეცნიერული ინდუქცია. პოპულარული ინდუქცია ეფუძნება ფაქტების განმეორებადობის მარტივ გაანგარიშებას, ხოლო მეცნიერული ინდუქციის დროს პრეზუმფციის ჩამოყალიბება დამოკიდებულია არა მხოლოდ განმეორებადი ფაქტების მარტივ გაანგარიშებაზე, არამედ ფაქტების კვლევისა და ანალიზზე. ინდუქციის პროცესის წარმართვისა და შესაბამისი პრეზუმფციის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ფაქტი ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდეს. თუ ყველა ფაქტს ერთი და იგივე თავისებურება არ გააჩნია, ანუ ყველა ფაქტი თუ ერთიან შედეგამდე არ მიდის, მაშინ ინდუქციის პროცესი წყდება და პრეზუმფცია არ ყალიბდება.⁶²

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ პრეზუმფცია წარმოადგენს დადასტურებულ ვარაუდს და ის არსებითად ცვლის სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებულ მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს.

⁶⁰ იქვე,

⁶¹ იქვე, 173-174

⁶² იქვე, 174

2.2 სამოქალაქო საქმეთა განხილვისას ყველაზე ხშირად გამოყენებული პრეზუმფციების სახეები

პრეზუმფციები მრავალრიცხოვანი და სხვადასხვაგვარია. მათგან ნაწილი განმტკიცებულია კანონით. ნორმატიულ აქტებში არსებულ პრეზუმფციებს აგრეთვე შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა სამოქალაქო იურისდიქციაში, იმის გამო, რომ ამგვარი პრეზუმფციები მოსამართლეთა მართლშეგნების ელემენტებია.⁶³

ყველაზე უფრო ხშირად სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას გვხვდება შემდეგი სახის პრეზუმფციები:

1) ზიანის მიმყენებლის ბრალის პრეზუმფცია. ზიანის ანაზღაურების თაობაზე წამოჭრილი დავების განხილვისას მოსარჩელე მართალია მიუთითებს მოპასუხის ბრალზე, მაგრამ არ არის ვალდებული დაამტკიცოს, რომ ზიანის მიყენებაში ბრალი მოპასუხეს მიუძღვის, როგორც ეს უნდა მოეხდინა მტკიცების ზოგადი წესიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში მტკიცების სპეციალური წესი ცვლის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს: თვითონ ზიანის მიმყენებელია ვალდებული დაამტკიცოს, რომ ზიანი არ არის მიყენებული მისი ბრალით. ზიანის მიმყენებლის ბრალი ივარაუდება მატერიალური სამართლის ნორმით დადგენილი წესის საფუძველზე. ზიანის მიმყენებლის ბრალის პრეზუმფცია ვრცელდება ყველა იმ ვალდებულებაზე, რომელიც წარმოშობილია ზიანის მიყენების ფაქტის საფუძველზე.

2) იმ პირის ბრალის პრეზუმფცია, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან არაჯეროვნად შეასრულა იგი. ამ შემთხვევაში ბრალის არარსებობა უნდა დაამტკიცოს იმან, ვინც დაარღვია ვალდებულება.

3) მოვალის ბრალის პრეზუმფცია. მოქმედი სამართლის მიხედვით, ფიზიკურ ან იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ პირობით, თუ სახეზეა მათი ბრალი. ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების დროს მოვალე ივარაუდება ბრალეულ პირად და მას უფლება აქვს უარყოს ნავარაუდები ბრალი.

⁶³ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 235

4) ფიზიკური პირის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია. ივარაუდება, რომ ყოველი ადამიანი კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერების პრეზუმფცია არსებობს მანამდე, სანამ დადგენილი წესით დამაჯერებლად არ დამტკიცდება ის ფაქტები, რომლებიც უარყოფითად ახასიათებენ ფიზიკურ პირს.

5) საკუთრების პრეზუმფცია. ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი და მოსარგებლე მისი მესაკუთრეა, სანამ ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

6) თავის საცხოვრებელ ადგილას ხანგრძლივად არმყოფი ფიზიკური პირის გარდაცვალების პრეზუმფცია. თუ ადამიანი თავის საცხოვრებელ ადგილას არ იმყოფება კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტხანს და არ არსებობს ცნობები ამ ადამიანის შესახებ, მაშინ სასამართლო მოცემული პრეზუმფციის საფუძველზე, უდავო წარმოების წესით ამ პირს გარდაცვლილად ცნობს.

7) მამობის პრეზუმფცია. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მშობლებისაგან დაბადებული ბავშვის დედის მეუღლე ივარაუდება ამ ბავშვის მამად. ქმარს უფლება აქვს სადავო გახადოს მამობა სასამართლო წესით.

8) კანონის ცოდნის პრეზუმფცია. სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლით, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.⁶⁴

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უკლებლივ ყველა მტკიცებულებითი პრეზუმფცია შეიძლება უარყოფილ იქნეს.⁶⁵

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, სადაც ზოგადად არის განმარტებული პრეზუმფცია და მის საფუძველზე მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, ინგლისის მტკიცებით სამართალში განასხვავებენ ხუთი სახის პრეზუმფციას, ესენია:

პირველი სახე - დარწმუნებითი პრეზუმფცია. “ა” ფაქტის დასამტკიცებლად სასამართლო პრეზუმირებს, რომ “ბ” ფაქტი ნამდვილად არსებობს. ეს შესადავებული პრეზუმფციაა. მხარე, რომელიც ამ პრეზუმფციას ედავება, ატარებს სამართლებრივ

⁶⁴ იქვე, 235-236

⁶⁵ იქვე, 236

ტვირთს. მაგალითად, პრეზუმირდება, რომ ყველა ადამიანი ფსიქიკურად ჯანმრთელია, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

მეორე სახე - დამტკიცებითი პრეზუმფცია. აქ სასამართლო დასკვნას აკეთებს, რომ “ზ” ფაქტი არსებობს, რამდენადაც დამტკიცებულია “ა” ფაქტი. აღნიშნული პრეზუმფცია მხარეს აკისრებს მისი უარყოფის მტკიცების ტვირთს.

მესამე სახე - უდავო პრეზუმფციები, რომლებსაც ითვალისწინებს სტატუტები.

მეოთხე სახე - ნებადართული პრეზუმფციები. “ა” ფაქტის დამტკიცება ნებას რთავს სასამართლოს ჩათვალოს ფაქტი “ზ” დამტკიცებულად. ეს პრეზუმფციებიც ასახულის სტატუტებში.

მეხუთე სახე - ფაქტის პრეზუმფცია, რომელიც წარმოადგენს ყოველდღიურ გამოცდილებას. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მოსამართლე გააკეთებს ერთსა და იმავე დასკვნას ერთი და იმავე ფაქტის მიმართ. მაგალითად, პრეზუმფცია ცხოვრების ხანგრძლივობაზე. ამ პრეზუმფციის თანახმად, ივარაუდება, რომ ადამიანები ცხოვრობენ გონივრული დროის მანძილზე.⁶⁶

ზემოაღნიშნულის გარდა საქართველოს სამოქალაქო სამართალში არსებობს სხვა მტკიცებულებითი პრეზუმფციებიც, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

⁶⁶ პრეზუმფციის რამოდენიმე მაგალითი ინგლისური სამართლიდან: 1) ქორწინების პრეზუმფცია-პრეზუმფცირდება, რომ ქორწინების რეგისტრაცია იყო კანონიერი. ფორმალური კანონიერების პრეზუმფცია რეგისტრაციის არაკანონიერების ტვირთს აკისრებს იმ მხარეს, რომელიც ადასტურებს რეგისტრაციის არაკანონიერებას. ქორწინების რეგისტრაციის ძირითადი ფაქტის დამტკიცება ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ადასტურებს ქორწინების კანონიერებას. 2) რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადების პრეზუმფცია-პრეზუმფცირდება, რომ ბავშვი, დაბადებული ან ჩასახული ქორწინების განმავლობაში არის კანონიერი ქორწინების დროს დაბადებული. ძირითადი ფაქტი, რომელიც უნდა დადასტურდეს არის ის, რომ ბავშვის ჩასახვისა თუ დაბადების დროს ბავშვის დედა დაქორწინებული იყო. ბავშვის მამად პრეზუმფცირდება ამ ქალბატონის ქმარი. იხ., Решетникова И. В, Доказательственное право Англии и США, Екатеринбург, 1997, 108, 109. იხ. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2013, 153-154

თავი 3. პრეზუმფციები, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველი, და პრეზუმფციების როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო სამართალში

მტკიცების ტვირთის განაწილებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენის ზოგად წესს არსებითად ცვლის მტკიცებულებითი პრეზუმფციები. პრეზუმფციები სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამტკიცებისგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს დაპირისპირებულ მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილების შედეგს.⁶⁷

მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველს ქმნის სამოქალაქო სამართალში გათვალისწინებული ვარაუდები (პრეზუმფციები), რომლებიც გამომდინარეობს მატერიალური სამართლის ნორმებიდან. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, კანონის პირდაპირი მითითებაა იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალში არ არის პრეზუმფციათა ანუ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების დასრულებული სისტემა. რიგ შემთხვევაში, კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტი უნდა დაამტკიცოს ან რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი სხვა ფაქტების არსებობა - არარსებობის შესახებ. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს ადგენს სასამართლო პრაქტიკა, რაც ავსებს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზს. ამ თვალსაზრისით, სწორედ სასამართლოა ის უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც უფლება ეძლევა დაწერილი კანონი შემდგომ განავითაროს. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს არა მარტო კანონის ინტერპრეტაციის გზით, არამედ, ასევე კანონის ხარვეზის შევსების გზით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელე

⁶⁷ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 229, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 42-43

ბ.ა-სა და მოპასუხე სს “ს.ბ-ს” შორის უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ დავაზე ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის არარსებობის მტკიცების ტვირთი, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი იქნებოდა მოპასუხე მხარეს გადააკისრა. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებული იყო, რომ ბანკმა მოსარჩელეს, როგორც სოლიდარულ მოვალეს, სახელფასო ანგარიშიდან ჩამოაჭრა 6523.92 ლარი როგორც ძირითადი მოვალის, ისე სოლიდარულად პასუხისმგებელი მოვალის გაფრთხილების გარეშე.⁶⁸

3.1 პრეზუმფციები სავინდიკაციო დავებში

მიუხედავად იმისა, რომ სავინდიკაციო სარჩელების განხილვისას კანონისმიერი პრეზუმფციის გამოყენების თვალსაზრისით არსებობს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, მაინც გვხვდება შემთხვევები, როცა ნივთის მესაკუთრესა და მფლობელს შორის მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით გარკვეულწილად არაერთგვაროვანი მიდგომაა.⁶⁹

ერთ-ერთ საქმეზე⁷⁰ მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა საჯარო რეესტრში მის საკუთრებად აღრიცხული უძრავი ქონების გამოთხოვა მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სტაბილური პრაქტიკის მიხედვით უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელის შემთხვევაში, მტკიცების საგანში შემავალი სამი ელემენტიდან (მოსარჩელის საკუთრების უფლების არსებობა ნივთზე; ამ ნივთის მოპასუხის მოპასუხის მფლობელობაში ყოფნა; მოპასუხის მიერ ნივთის არამართლზომიერი ფლობა) პირველი ორის დადასტურების ვალდებულება მოსარჩელეს ეკისრება, ხოლო მესამე ელემენტზე მას მითითების ვალდებულება გააჩნია. ამ მხრივ სარჩელი, როგორც

⁶⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე 28/12789-10, იხ. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2013, 146-147,153

⁶⁹ ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 43

⁷⁰ სუსგ, საქმე Nას-690-661-2016, 1 სექტემბერი, 2016 წელი, იხ., ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 43

ფორმალურ-სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით გამართულია. მოსარჩელემ წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რაც შეეხება მესამე ელემენტს-ნივთის ფლობას, მოპასუხის მტკიცების საგანში შედის მისი ფლობის ნამდვილი უფლების დადასტურება. საპროცესო კანონმდებლობა ადგენს მხარის სრულ უფლებას, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის ფარგლებში თავისუფლად წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც მისი შეფასებით ადასტურებს პოზიციის მართებულობას. მოპასუხეები უთითებენ მათი საკუთრების უფლების არსებობაზე, რადროსაც გასათვალისწინებელია სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და მატერიალური კანონმდებლობის დათქმა იმის თაობაზე, რომ საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრის ამონაწერით უნდა დადასტურდეს⁷¹ „სასამართლომ განმარტა, რომ ქონებაზე სანივთო უფლების რეგისტრაციის პირობებში, მოსარჩელის უფლების დასაცავად არსებობს სკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული კანონისმიერი პრეზუმფციის დაშვების აუცილებლობა იმის თაობაზე, რომ რეგისტრირებული უფლება უტყუარი და სრულია, რაც მოპასუხის საკასაციო პრეტენზიის გაზიარებას გამორიცხავს.“⁷²

სხვა საქმეზე⁷³ ვინდიკაციურ სარჩელზე დავისას, სასამართლომ მიუთითა რა სარჩელის საფუძვლიანობისათვის სავალდებულო ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, აღნიშნა, რომ ვინაიდან საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით, მოსარჩელისა და მოპასუხის საკუთრების უფლება რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, თითოეულს მინიჭებული აქვს უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი (სკ-ის 311-312-ე მუხლები), მოპასუხე არ არის სადავო მიწის ნაკვეთის არამართლზომიერი მფლობელი და შესაბამისად, არ არსებობს ვინდიკაციური სარჩელის დასაკმაყოფილებლად სავალდებულო სამი წინაპირობა. ამ კონტექსტში კი, საკასაციო სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების არა მარტო საპროცესო - სამართლებრივ, არამედ მატერიალურ-სამართლებრივ მნიშვნელობაზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ

⁷¹ სსკ-ის 312-ე მუხლი; სუსგ საქმე Nას-453-435-2016, 10.06.2016 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 43-44.

⁷² იქვე

⁷³ სუსგ საქმე Nას-707-677-2016, 23 სექტემბერი, 2016 წელი, იხ., ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 44

მატერიალური კანონმდებლობიდან გამომდინარე, ვინდიკაციური სარჩელის პირობებში, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება სარჩელის სამივე საფუძვლის დამტკიცების მოვალეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ იქნება აღიარებული სადავო ნივთზე მისი მოთხოვნის მართლზომიერება.⁷⁴

3.2 ვალდებულების შესრულების პრეზუმფცია

ნარდობის სახელშეკრულებო - სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე ⁷⁵ სასამართლომ მოსარჩელის (მენარდის) სასარგებლოდ დაუშვა ვალდებულების შესრულების პრეზუმფცია. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, ეკისრება მენარდეს. ამ წესისაგან გამონაკლისს ითვალისწინებს 102.3 მუხლი, თუმცა ამგვარი შემთხვევა, როგორც წესი, მატერიალური სამართლის ნორმით უნდა იყოს მოწესრიგებული. სასამართლოს აზრით, ნარდობის მარეგულირებელი ნორმები (სკ-ის 629-656-ე) მენარდის მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი სპეციალური მტკიცებულების სახეს არ ადგენს, შესაბამისად, შემკვეთის მოსაზრება ფორმა N2-ით ან სხვა მსგავსი მტკიცებულებით სადავო საკითხის დამტკიცების თაობაზე დაუსაბუთებელია. მის მიერ მითითებული თითოეული მტკიცებულებით, ბუნებრივია, ვალდებულების შესრულება შეიძლება დადასტურდეს, თუმცა ეს არ გამორიცხავს მხარის უფლებას, სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაძლიოს კანონმდებლობით დაკისრებული ფაქტის მტკიცების ვალდებულება. საპროცესო მიზნებისათვის არავითარ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არ აქვს და სასამართლო მათ აფასებს ერთობლივად. მოცემულ შემთხვევაში, მენარდის მიერ წარდგენილი

⁷⁴ სავინდიკაციო სარჩელესთან დაკავშირებით იხ, სუსგ-ები Nას-1043-1004-2016, 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება; Nას-901-867-2016, 2016 წლის 09 დეკემბრის განჩინება; Nას-3-3-2016, 2016 წლის 09 მარტის განჩინება; Nას-1082-1039-2016, 2017 წლის 14 თებერვლის განჩინება; Nას-292-276-2017, 2017 წლის 31 მარტის განჩინება; Nას-358-334-2017, 2017 წლის 13 აპრილის განჩინება, საქმე Nას-82-78-2017 05 მაისი, 2017 წელი, იხ., ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 44-45

⁷⁵ სუსგ, საქმე Nას-513-490-2016, 21 ოქტომბერი, 2016 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 47

მტკიცებულებები, იძლევა იმ პრეზუმფციის დაშვების საფუძველს, რომ მენარდემ მართლაც შეასრულა მითითებული სამუშაო. პრეზუმირებული ფაქტის პროცესუალური თავისებურება კი ისაა, რომ მისი გაქარწყლება ევალება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მოქმედებს თავად ეს ფაქტი. ის გარემოება, რომ შემკვეთმა შესაძლოა შეიძინა გარკვეული რაოდენობის არმატურა, ბუნებრივია, არ გამორიცხავს მენარდის მიერ სამუშაოს შესრულებას. ამ თვალსაზრისით, პრეზუმფციის გასაქარწყლებლად ვერც ის ვერ გამოდგება, რომ მენარდეს არ უსარგებლია ავანსის მიღების უფლებით და სამუშაოს დასრულების კონკრეტულ ვადაზე არ შეთანხმებია მხარეს.⁷⁶

3.3 ფულადი ვალდებულების შესრულების პრეზუმფცია მოპასუხის სასარგებლოდ

ერთ-ერთ საქმეზე⁷⁷, სადაც დავის საგანი ასევე ფულადი ვალდებულების შესრულებაა, სასამართლომ მოპასუხის სასარგებლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების პრეზუმფციის დაშვებით სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავებით გაანაწილა მტკიცების ტვირთი. მოცემულ საქმეში მოსარჩელე - უნივერსიტეტი მოპასუხე - სტუდენტისგან მოითხოვს მის მიერ უცხოეთის უნივერსიტეტში გაცვლითი საბაკალავრო პროგრამით გადახდილი სტუდენტის სწავლის საფასურის ანაზღაურებას. მოპასუხემ მოთხოვნის დამაბრკოლებელი შესაგებელი წარადგინა, იმ საფუძველით, რომ მან სწავლის საფასური ნაღდი ანგარიშსწორებით ქართულ უნივერსიტეტში გადაიხადა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის და აღნიშნა, რომ სკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნორმით განსაზღვრული იურიდიული შემადგენლობის შედეგად წარმოშობილ ურთიერთობათა დასადასტურებლად ამავე

⁷⁶ ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 47-48

⁷⁷ სუსგ Nას-426-403-2014, 09 ოქტომბერი, 2015 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 48

ნორმით გათვალისწინებულია შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის პირობა, რაც უდავოდ გულისხმობს წერილობითი სახის მტკიცებულებას და იგი გაიცემა მოვალის სახელზე. ვალდებულების შესრულების სადავოობის პირობებში კანონით უზრუნველყოფილია მოვალის შესაძლებლობა, ამტკიცოს ვალდებულების შესრულება. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთის მატარებელი მხოლოდ მოვალე შეიძლება იყოს. შესაბამისად, უცხოეთის უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდა უნდა ემტკიცებინა მოპასუხეს, რომელმაც სადავო გარემოებები შესაბამისი მტკიცებულებებით (წერილობითი მტკიცებულებით - საგადასახადო დავალებით ან/და სალაროს ჩეკით) ვერ დაადასტურა.⁷⁸

საკასაციო პალატამ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში. პალატამ გაიზიარა სასამართლოს მსჯელობა, რომ თანხის გადახდის ფაქტი მხოლოდ მოწმის ჩვენებით ან მხარის განმარტებით არ შეიძლება დადასტურდეს, თუმცა დაუსაბუთებლად მიიჩნია ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა, რომლითაც მოპასუხის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულება არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის ნაღდი ანგარიშსწორების გზით გადახდის ფაქტზე მითითებით, ასევე მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სტუდენტის სტატუსის შეუჩერებლობითა და მის სახელზე დიპლომის გაცემით. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უარყოფილი, ზემოხსენებული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასების გზით უნდა გაირკვეს, სახეზე ხომ არ არის პრეზუმირებული ფაქტები, კერძოდ სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმ პირობებზე, როდესაც სტუდენტის საზღვარგარეთ სწავლების დაფინანსების ვალდებულება უნივერსიტეტს არ ეკისრებოდა, უნივერსიტეტში დაშვებული იყო როგორც უნაღდო, ისე ნაღდი ანგარიშსწორების წესით გადახდა, სწავლის განმავლობაში მოსარჩელეს არ წარუდგენია მოთხოვნა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევის თაობაზე და მის მიმართ არ დგინდება რაიმე ადმინისტრაციული ზომების გამოყენება (სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა), დავალიანების მქონე სტუდენტები სასწავლო პროცესში არ

⁷⁸ ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

დაიშვებოდნენ და არ გაიცემოდა დიპლომი, ხომ არ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ უცხოეთის უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი ინვოისის შესაბამისად მოსარჩელის მიეს შესრულებული ტრანზაქციის თანხა, სწორედ მოპასუხის მიერ უნივერსიტეტში ნაღდი ანგარიშსწორების გზით შეტანილი თანხა იყო.⁷⁹

3.4 პრეზუმფცია სესხის სახელშეკრულებო - სამართლებრივ დავებში

ერთ-ერთ საქმეზე⁸⁰ სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის (გამსესხებლის) მიერ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოპასუხეს (მსესხებელს) ვალდებულება შესრულებული არ აქვს. ამდენად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს). მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი აკისრია მსესხებელს (მოპასუხეს).⁸¹ „სკ-ის 624-ე მუხლის მე-2 წინადადებაში ზუსტად ამ მტკიცების ტვირთისა და მტკიცების საგანში შემავალი სასესხო ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტების დადასტურების თავისებურებაზეა გამახვილებული ყურადღება. განსახილველი დანაწესი ზღუდავს მხარეებს არა გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხესთან სესხის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა.“⁸²

პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, გვ. 48-49

⁷⁹ იქვე, 49

⁸⁰ სუსგ, საქმე Nას-929-891-2014, 22 აპრილი, 2015 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 53

⁸¹ იქვე, 53

⁸² იქვე

3.5 პრეზუმფცია რწმუნებულის (მოსარჩელის) სასარგებლოდ

„მოსარჩელე - რწმუნებული მოპასუხე - მარწმუნებლისგან მოითხოვს შეთანხმებული გასამრჯელოს ანაზღაურებას.“⁸³ „მოპასუხის განმარტებით, დავალების ხელშეკრულებაში მხარეები გასამრჯელოზე არ შეთანხმებულან.“⁸⁴

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დავალების ხელშეკრულებებში გასამრჯელოზე მხარეების შეთანხმების არარსებობის მიუხედავად, მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობა მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წერილობითი ფორმით დავალების ხელშეკრულების დადებისას გასამრჯელოს გაუთვალისწინებლობა ნიშნავს მხარეთა შორის უსასყიდლო ურთიერთობის არსებობას. კანონი ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ადგენს ასეთ ვითარებაში გასამრჯელოს განსაზღვრის კრიტერიუმებს.⁸⁵

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი იყო გრძელვადიანი ურთიერთობა, რომელიც ითვალისწინებდა მოგების მიღების მიზნით მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენებას, რაც მაღალი ალბათობით შესაძლებელია განხორციელდეს გასამრჯელოს სანაცვლოდ. გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. ამ თავისებურებაზე მიუთითებს სკ-ის 710-ე მუხლის მე-2 ნაწილი. განსახილველ შემთხვევაში გასამრჯელოს არსებობის ფაქტი პრეზუმირებულია მოსარჩელის სასარგებლოდ. ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული გარემოებების გაქარწყლება შესაძლებელია თვით დაინტერესებული პირის მიერ, თუ იგი დაადასტურებს, რომ სადავო ურთიერთობა გასამრჯელოს არ ითვალისწინებდა. აღნიშნული კასატორმა ვერ დაადასტურა. იგი უთითებს მხოლოდ დავალების ხელშეკრულებებში გასამრჯელოზე შეთანხმების

⁸³ სუსგ, Nას-739-707-2014, 10 სექტემბერი, 2015 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 53

⁸⁴ იქვე

⁸⁵ იქვე, 53-54

არარსებობაზე, რაც არ არის საკმარისი 710-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოცემული პრეზუმფციის გასაქარწყლებლად.⁸⁶

3.6 პრეზუმფცია მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით

ერთ-ერთ საქმეზე⁸⁷ ბანკმა მოითხოვა მოპასუხისათვის საბანკო კრედიტით სარგებლობის ხელშეკრულების დარღვევის გამო მიუღებელი შემოსავლის დაკისრება. კასატორის ძირითადი პრეტენზია სწორედ მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას დაუკავშირდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით განსხვავებულია სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი ბუნება (სარგებელი ეს არის ნივთის გამოყენების შედეგად მსესხებლის მიერ მიღებული ან მისაღები შემოსავალი, ხოლო მიუღებელი შემოსავალი ის ზიანია, რომელიც ვერ მიიღო ბანკმა მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო) განსხვავებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის მტკიცების ფარგლებიც.⁸⁸ მიუღებელ შემოსავალს დამტკიცება სჭირდება მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული გონივრული პროცენტის ნამდვილობისათვის საკმარისია მხარეთა წერილობითი შეთანხმება.⁸⁹

ბანკის მიერ სარგებლის მიღების პრეზუმფცია მოცემულია სკ-ის 872-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე, ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან ან, თუ კრედიტის მიმღებმა

⁸⁶ იქვე, 54

⁸⁷ სუსგ, საქმეზე Nას-681-652-2016, 17 თებერვალი, 2017 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 54

⁸⁸ ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 54-55

განზრახ არ დაუშვა მისი მიღება.⁹⁰ მოსარჩელე მოპასუხის მხრიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროცენტო სარგებელს კრედიტის კვლავ გაცემით, რაც იმას ნიშნავს, რომ იკვეთება სკ-ის 411-ე მუხლის ფაქტობრივი შემადგენლობა და არც ის გარემოება არ შეიძლება გახდეს სადავო, რომ საკრედიტო დაწესებულების ძირითადი საქმიანობა კრედიტის გაცემის გზით ეკონომიკური სარგებლის მიღებაა, ეს კი მყარ პრეზუმფციათა რიგს განეკუთვნება.⁹¹ „მოვალემ ვერ გააქარწყლა კრედიტორის სასარგებლოდ მოქმედი პრეზუმფცია, რაც საკასაციო განაცხადის უარყოფის საფუძველი გახდა.“⁹²

3.7 პრეზუმფცია მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხის-სახელმწიფოს წინააღმდეგ

„მოსარჩელემ უძრავი ქონება აჩუქა სახელმწიფოს (ხელშეკრულება გაფორმდა საკრებულოს წარმომადგენელთან).“⁹³ მოგვიანებით კი სარჩელი აღძრა მუნიციპალიტეტის მიმართ აღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების აღდგენის მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 54-ე, მე-8.3 მუხლებით და მიიჩნია, რომ ყოველთვის, როცა გარიგების ერთ-ერთი მონაწილე არის სახელმწიფო, რომელიც მისი სტატუსიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე მიიჩნევა გარიგებაში ე.წ. „ძლიერ მხარედ“, ამ გარიგების დადების დროს მხარეთა შორის ურთიერთობაში ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი ძალიან მაღალი უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა აშკარაა, რომ უმეტესწილად სწორედ სახელმწიფო იღებს სარგებელს გარიგებიდან „სუსტი მხარის“ ხარჯზე, ამიტომ

⁸⁹ სუსგ Nას-932-882-2015, 15.03.2016 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 55

⁹⁰ სუსგ Nას-1385-1307-2012, 07.02.2013 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 55

⁹¹ სუსგ Nას-1385-1307-2012, 07.02.2013 წ.; Nას-725-693-2014, 03.07.2015 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 55

⁹² იქვე

ამგვარი “სუსტი მხარისგან” გარიგების ბათილობაზე მითითებისას სწორედ სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი - დაადასტუროს, რომ გარიგება შეესაბამება კანონით დადგენილ წესს და ზნეობის ნორმებს. მოპასუხემ ვერ დაამტკიცა, რომ იგი სადავო ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდა კეთილსინდისიერად და რომ, მოსარჩელეს ნამდვილად სურდა “სადავო ქონების” მისთვის უსასყიდლოდ გადაცემა. საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო მოპასუხის საკასაციო საჩივარი. მან გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მოცემულ დავაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თაობაზე და მიუთითა, რომ მოპასუხემ სარწმუნოდ ვერ დაადასტურა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მოწმის ჩვენებით დადგენილი ფაქტი, რომ საკრებულოსა ან მერიაში დაბარებულები არ ყოფილან, არ შეურაცხყოფა მიუყენებიათ, არც დამუქრებიათ. მისი განმარტებით, პროკურორის ოთახში დამთავრდა ყველაფერი. პალატამ აღნიშნა, რომ აღნიშნული წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც მოპასუხემ სარწმუნოდ ვერ დაადასტურა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, მას არც დასაბუთებული საკასაციო შედავა არ წარუდგენია საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევასთან მიმართებით.⁹⁴

ერთ-ერთ საქმეზე⁹⁵, სადაც დავის საგანი სახელმწიფოსა და საწარმოს შორის ნარდობის სახელშეკრულებო - სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე იძულების გამო ნარდობის ხელშეკრულების იმ პირობის ბათილად ცნობაა, რომლითაც მენარდემ იკისრა ვალდებულება, შემკვეთისათვის უსასყიდლოდ შეესრულებინა და გადაეცა დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაო, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართალურთიერთობის საფუძველი მორალურად ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამართალურთიერთობის არსებობისას, როდესაც ამავე ურთიერთობის მხარეთა შორის ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი მაღალია. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა

⁹³ სუსგ, Nას-224-213-2017, 28 აპრილი, 2017 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 55

⁹⁴ ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 55-57

და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებით მაღალია. უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალურთიერთობის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაქტის ძლიერი მხარის-სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს. შესაბამისად, სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ კანონშესაბამისობისა და მორალური სტანდარტების დაცვის პრეზუმფცია არსებობს, რომელიც შეცილებისთანავე ქარწყლდება და მტკიცების ტვირთი ბრუნდება. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების შეცილების შედეგად მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის. სწორედ სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს კერძო პირთან დადებული გარიგების ნამდვილობა, კანონისა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობა. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება, სახელმწიფოს, როგორც გარიგების ძლიერი მხარის ვალდებულებას, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დაიცვას ყველა პირის ქონებრივი უფლებები, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემცილებელი გარიგების ბათილობის საფუძვლების მითითებისგან თავისუფლდება.⁹⁶

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე - საწარმოს დირექტორი უთითებდა, რომ მასთან დადებული ნარდობის ხელშეკრულების ის პუნქტი, რომლითაც მან უსასყიდლოდ იკისრა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების გაწევა, იძულების საფუძვლით, ბათილი იყო. ამ გარემოებაზე მსჯელობისას სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ მიუთითა ფაქტები, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლო სადავო ხელშეკრულებაზე, როგორც იძულებით დადებულ გარიგებაზე, იმსჯელებდა, თუმცა ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ სადავო გარიგება ბათილია არა იძულების, არამედ მართლწინააღმდეგობისა და ამორალურობის საფუძვლით.⁹⁷

სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ მიუთითა იმ ფაქტებზე, რომლებითაც დაამტკიცებდა, რომ მის მიმართ იძულების შედეგად დაიდო ხელშეკრულების სადავო ქვეპუნქტი, ამასთან, განმარტა, რომ

⁹⁵ სუსგ Nს-212-201-2017, 15 მაისი, 2017 წელი, იხ., ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 57

⁹⁶ იქვე

2011-2012 წლებში საწარმოს თანამშრომლებს, მათ შორის დირექტორსაც სისტემატურად იბარებდნენ დაკითხვებზე და მა ვითარებაში, მოსარჩელის მიერ, რომელსაც ბანკის წინაშე სოლიდური დავალიანება გააჩნდა, სახელმწიფოს მიმართ გამოხატული კეთილი ნება, რომ კერძო პირს სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში ქონება, არ შეიძლებოდა განხილულიყო მორალური კატეგორიის ღირებულებად. ამავე კონტექსტში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე და საბოლოოდ დაასკვნა, რომ გამოვლენილი იყო გარიგების სადავო პუნქტის ბათილობის საფუძველი სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად. რადგანაც ცალსახად დადგინდა, რომ მოსარჩელემ სამინისტროსთვის სამუშაოები უსასყიდლოდ შეასრულა იმ დროს, როდესაც პროკურატურაში მიმდინარეობდა მოკვლევა საწარმოს ფინანსური საქმიანობის შესახებ.⁹⁸

საკასაციო სასამართლოს აზრით, როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მხარეა სახელმწიფო, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა შემოწმდეს და შეფასდეს გარიგების “ძლიერი” მხარის ქცევა რამდენად შეესაბამება სსკ-ის 54-ე მუხლის დანაწესს.⁹⁹

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების შეცვლების შედეგად მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის და განმარტა, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ, თუკი მოსარჩელე აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება, პრეზუმირებულია, რომ იძულება განხორციელდა და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი. მანვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება. სწორედ ამგვარ პრეზუმფციებს ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში “გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ”, “ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ”, რაზეც უთითებს სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში. საკასაციო სასამართლოს აზრით, მოსარჩელის სასარგებლოდ

⁹⁷ იქვე, 58

⁹⁸ იქვე

⁹⁹ იქვე

დაშვებული ზემოხსენებული პრეზუმფციის გაქარწყლების ვალდებულება მოპასუხეს ეკისრებოდა, თუმცა მან ამ ვარაუდის გაქარწყლება ვერ შეძლო. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გარიგების დადებისას საწარმოს დირექტორის მიერ გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახავდა მის ნამდვილ შინაგან ნებას და ნაკლის მქონედ უნდა ჩათვლილიყო.¹⁰⁰

3.8 მოსარჩელის სასარგებლოდ სამედიცინო დაწესებულების ბრალით ჯანმრთელობის დაზიანების პრეზუმფცია

მოსარჩელემ (პაციენტმა) სამედიცინო დაწესებულების მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვა სამედიცინო ქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.¹⁰¹ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით პაციენტის სარჩელი დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლომ განუხილველად დატოვა კლინიკის საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო. სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სკ-ის 1007-ე მუხლის მიხედვით, მტკიცების ტვირთი აკისრია სამედიცინო დაწესებულებას ანუ მან უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი მისი ქმედების შედეგად არ მიღებულა. დასახელებული ნორმის დეფინიციის მიხედვით, ცალსახაა, რომ “არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას. ასეთ დროს, პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის არსებობა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულებამ უნდა განახორციელოს.”¹⁰²

სასამართლოს აზრით, სადავო შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულების მტკიცების ტვირთი იყო, დაემტკიცებინა, რომ მან ყველა მართლზომიერი საექიმო ქმედებები

¹⁰⁰ სუსგ Nას-692-662-2014, 24.09.2015 წელი; Nას-688-654-2015, 21.07.2015, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 59-60

¹⁰¹ სუსგ Nას-1102-1038-2015, 22 იანვარი, 2016 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 60

¹⁰² სუსგ Nას-260-244-2014, 28.05.2014 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 60

გამოიყენა პაციენტის დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის კი აუცილებელია დადგინდეს საექიმო შეცდომა. “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის “ო” ქვეპუნქტით მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისთვის შეუსაბამო სადიაგნოზო ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ექიმის პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება.¹⁰³

„საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული ფაქტებისა და შესაბამისი მტკიცებულებების ერთობლიობით დადასტურებულია მცდარი სამედიცინო ქმედების ჩადენა, რაც მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, პაციენტის მოთხოვნის დაკმაყოფილების დასაბუთებული და კანონიერი საფუძველია. სამედიცინო დაწესებულებამ ვერ შეძლო დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებით გაემართლებინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები.“¹⁰⁴

3.9 კანონისმიერი პრეზუმფცია მოსარჩელის სასარგებლოდ დავაში სასაქონლო ნიშნის თაობაზე

სასამართლო გადაწყვეტილებით¹⁰⁵ მოპასუხეს აეკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის გამოყენება იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოსარჩელეს საქპატენტში რეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშანი და დადგინდა მოპასუხის კუთვნილი შეჩერებული კონტრაფაქციული ტვირთის განადგურება.¹⁰⁶ კასატორის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, რომ სააპელაციო

¹⁰³ სუსგ, Nას-247-237-2013, 01.07.2013. იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 60-61

¹⁰⁴ იქვე, 61

¹⁰⁵ სუსგ Nას-718-686-2016, 3 ოქტომბერი, 2016 წელი, ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 63

¹⁰⁶ იქვე

სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, საკაცო პალატამ განმარტა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილების წესი ჩამოყალიბებულია მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში და გამოხატულია იმპერატიული ფორმით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ცალკეული კატეგორიის საქმეებზე მატერიალური კანონმდებლობა მოითხოვს კონკრეტული სახის მტკიცებულებას და ზღუდავს მას მტკიცების სტანდარტით. ასეთია ისეთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შინაარსობრივად მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე მიუთითებს. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცების სტანდარტი განსაზღვრულია მატერიალური კანონმდებლობით. სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 და 45-ე მუხლების ერთობლივი განმარტებით, სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებით სარგებლობის ფაქტის დამტკიცების ტვირთი ეკისრება პირს, რომელსაც სამოქალაქო ბრუნვაში გააქვს იმგვარი საქონელი, რომელზეც დატანილია განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ დადგენილი წესით დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი. მოსარჩელის მიერ წარდგენილია მის სახელზე საქონლის მე-7,9 და მე-11 კლასების მიმართ სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო მოწმობა და საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება, რომლითაც დასტურდება სასაქონლო ნიშანზე მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების მოპოვების ფაქტობრივი გარემოება.¹⁰⁷

„კასატორი სადავოდ ხდის მოსარჩელის სასარგებლოდ ტვირთის კონტრაფაქციულობის პრეზუმირებას, რასაც საკასაციო პალატა არ დაეთანხმა და განმარტა რა პრეზუმფციის სამართლებრივი ბუნება არსებული პრაქტიკის შესაბამისად,“¹⁰⁸ „აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც დადგენილია ფაქტობრივი გარემოება სასაქონლო ნიშანზე მოსარჩელის განსაკუთრებული უფლების არსებობის შესახებ, იმ ვალდებულების მტკიცების ტვირთი, რომ ამგვარი ნიშნის საქონელზე დატანა და მისი სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება წარმოადგენს მოპასუხის უფლებას, ეკისრება მოპასუხეს. ეს პროცესუალური ვალდებულება კი მოპასუხემ არ შეასრულა.“¹⁰⁹

¹⁰⁷ იქვე, 63-64

¹⁰⁸ სუსგ, Nას-184-171-2015, 20 მაისი, 2016 წელი, ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 64

¹⁰⁹ იქვე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზუმფციას, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველს, დიდი პრაქტიკული გამოყენება და მნიშვნელობა აქვს მტკიცების პროცესში. მართალია, არ არსებობს მათი ერთიანი დასრულებული სისტემა, თუმცა განხილული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს მის მნიშვნელობას და ნათლად ჩანს, რომ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის შევსება გარკვეულწილად სწორედ სასამართლო პრაქტიკითაა შესაძლებელი.

თავი 4. პრეზუმფციები სანივთო სამართალში

4.1 მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოძრავი ნივთების მიმართ ითვალისწინებს მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას. კერძოდ, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრეა. პრეზუმფცია ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, ვინაიდან მესაკუთრე თავისუფლდება მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულებისაგან. მოძრავი ნივთების მიმართ აღნიშნული ვარაუდი მოქმედებს იქამდე, ვიდრე საწინააღმდეგო არ დადგინდება.¹¹⁰

„სასამართლო გადაწყვეტილებაში ვკითხულობით: “ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პრეზუმფციას - ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრეა, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმფცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, დავეყრდნოთ მფლობელის კეთილსინდისიერებას და იგი, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ნივთის მესაკუთრედ მივიჩნიოთ.“¹¹¹

„158-ე მუხლის მიზანია, სავინდიკაციო სარჩელის აღძვრის შემთხვევაში დაეხმაროს მოპასუხეს, რათა მოსარჩელემ, რომელსაც არ აქვს ნივთზე მფლობელობა, დაამტკიცოს არა მხოლოდ მის მიერ ადრე შეძენილი საკუთრება ნივთზე, არამედ მისი საკუთრების უწყვეტად არსებობა.“¹¹²

„ნორმის მიზანია, ასევე, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების დაცვა. სავინდიკაციო სარჩელის შემთხვევაში, მფლობელობის გადაცემა კეთილსინდისიერ

¹¹⁰ შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბილისი 2014, გამომცემლობა „მერიდიანი“, 100

¹¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე Nას-26-24-2013, იხ. შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბილისი 2014, გამომცემლობა „მერიდიანი“, 101

პირზე საკუთრების მოპოვებისთვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რითაც კეთილსინდისიერი შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე და ეს ფაქტი მის წინააღმდეგ აღძრულ სავინდიკაციო სარჩელს უსაფუძვლოს ხდის, რადგან მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს ქმედების შემადგენლობის ნიშანს - „საკუთრებას“. მხარეებს შორის არსებული პროცესუალური წესების თანახმად, მესაკუთრემ უნდა დაამტკიცოს საკუთრების უფლება და არა მფლობელმა მისი არარსებობა.¹¹³

„158-ე მუხლის გამოყენების სფერო ვრცელდება მხოლოდ მოძრავ ნივთებზე, ასევე ფულსა და ფასიან ქაღალდებზე, რომლებიც ხელიდან ხელში უბრალო ტრადიციით გადაიცემა.“¹¹⁴ 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი პუნქტის თანახმად, ნორმის წესები არ გამოიყენება იმ შემთხვევებზე, როდესაც ნივთზე საკუთრების ხასიათი საჯარო რეესტრში ვლინდება. მაშასადამე, უძრავი ნივთების მფლობელობით საკუთრება არ ივარაუდება.¹¹⁵

მეუღლეებს შორის მფლობელობითი ურთიერთობები, ხშირად არ არის გამიჯნული. გარდა ამისა, არსებობს საშიშროება, რომ მეუღლეები კრედიტორის მოთხოვნების განხორციელებას ხელს შეუშლიან. მეუღლეებს შორის არსებული დავის შემთხვევაში, მფლობელობითი საკუთრების მტკიცების წესი უნდა გავრცელდეს მხოლოდ პირადი მოხმარების ნივთებზე ან ისეთ ნივთებზე, რომლებიც თავიანთი განსაკუთრებული და ექსკლუზიური ხასიათის გამო, მხოლოდ ერთი მეუღლის საკუთრება შეიძლება იყოს.¹¹⁶

„158-ე მუხლის პრეზუმფცია ასევე გამოიყენება მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ და ივარაუდება, რომ ნივთები მეუღლეთა საერთო საკუთრებაა, ერთ-ერთი მეუღლის

¹¹² Baldus, in Muko BGB, 6. Aufl., 2013, § 1006, Rn. 4. იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2018, 50

¹¹³ იქვე

¹¹⁴ ზარანდია, ნივთის მფლობელი ივარაუდება მის მესაკუთრედ-პრეზუმფციის გამოყენების წინაპირობები და გამონაკლისები, გვ. 201, იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2018, 51

¹¹⁵ იქვე

¹¹⁶ ზარანდია, ნივთის მფლობელი ივარაუდება მის მესაკუთრედ-პრეზუმფციის გამოყენების პირობები და გამონაკლისები, გვ. 208, იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2018, 51

ვალდებულებისთვის მათი დაყადაღება კი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება.“¹¹⁷

„მფლობელობით საკუთრების მტკიცების წესი გამოიყენება როგორც ნასყიდობის, ისე ჩუქების ხელშეკრულების არსებობისას, რადგან ქართულ სანივთო სამართალში საკუთრების მოპოვება დამოკიდებულია ნამდვილი უფლების არსებობაზე.“¹¹⁸

158-ე მუხლში წარმოდგენილია კანონისმიერი ვარაუდი, რომლის უარყოფაც საწინააღმდეგოს დამტკიცებით არის შესაძლებელი, რაც ამსუბუქებს ნივთის მფლობელის მტკიცების ტვირთს და ზეგავლენას არ ახდენს მხარეებს შორის არსებულ მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაზე. მფლობელმა უნდა დაამტკიცოს ნივთზე მფლობელობის მოპოვების ფაქტობრივი გარემოებები, მაგალითად გამსხვისებლის უფლებამოსილება. შესაბამისად, პრეზუმფციის უარყოფა უნდა მოხდეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი მტკიცებულებების საფუძველზე. 158-ე მუხლი შეიცავს არა მტკიცების წესს, არამედ მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს. იგი იწვევს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის ცვლილებას, რადგან მფლობელმა უნდა დაამტკიცოს პრეზუმფციის ბაზისი და არა სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელიც იწვევს სამართლებრივ შედეგებს.¹¹⁹

მფლობელობითი საკუთრების პრეზუმფციის საფუძველია პირის პირდაპირი მფლობელობა ნივთზე. პრეზუმფციის დანიშნულებიდან გამომდინარე, არაპირდაპირი მფლობელობის საფუძველზე საკუთრების ვარაუდი გამორიცხულია. პრეზუმფციის წინაპირობაა დავა მხარეებს შორის საკუთრების შესახებ და არ გამოიყენება არაპირდაპირ მფლობელობის შემთხვევებზე, ვინაიდან არაპირდაპირ მფლობელს ნივთზე მფლობელობის უფლება მინიჭებული აქვს პირდაპირი მფლობელისგან და

¹¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 14 ნოემბრის N3კ/706-01 გადაწყვეტილება, იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2018, 51

¹¹⁸ იქვე

¹¹⁹ Assmann, Kommentar zum ZPO, § 292, Rn. 3. იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2018, 51-52

როგორც წესი, არაპირდაპირი მფლობელი ნივთზე თავის საკუთრების უფლებას არ მიუთითებს.¹²⁰

„პრეზუმცია ეფუძნება მფლობელობისა და საკუთრების მოპოვების ერთობლიობას. მაშასადამე, ივარაუდება არა ნივთის მფლობელის საკუთრება, არამედ ის, რომ ნივთის მფლობელმა პირდაპირი მფლობელობის წარმოშობის მომენტში მოიპოვა ნივთზე საკუთრება და ნივთზე საკუთრების უფლებას იგი მფლობელობის პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა.“¹²¹ აქედან გამომდინარე, 158-ე მუხლი არ გამოიყენება, თუ მფლობელი მიუთითებს, რომ მან თავდაპირველად მხოლოდ ნივთზე მფლობელობა მოიპოვა, მაგალითად, როგორც დამქირავებელმა დ მხოლოდ ამის შემდეგ, სხვა გარემოებების საფუძველზე გახდა იგი ნივთის მესაკუთრე. ამ შემთხვევაში, დამქირავებლის მიერ პირდაპირი მფლობელობის წარმოშობას არ გამოუწვევია ნივთზე საკუთრების მოპოვება და დამქირავებელმა შემდგომში საკუთრების მოპოვების წინაპირობები სრულყოფილი მტკიცებულებებით უნდა დაამტკიცოს. მფლობელობის საფუძველზე მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმცია შესაძლებელია მოწინააღმდეგე მხარემ უარყოს იმ გარემოებების დამტკიცებით, რომ ნივთზე პირდაპირი მფლობელობის წარმოშობას არ გამოუწვევია საკუთრების მოპოვება. ასევე, თუ მფლობელი მიუთითებს, რომ მან საკუთრება ნივთზე მფლობელობის წარმოშობამდე მოიპოვა, არ არსებობს 158-ე მუხლის წინაპირობები და აღნიშნული ნორმა არ გამოიყენება.¹²²

მფლობელობით საკუთრების პრეზუმცია შესაძლებელია უარყოფილ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე დაამტკიცებს, რომ მან ნივთი დაკარგა, მას მოპარეს ან მისის ნების საწინააღმდეგოდ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან ან მფლობელმა დაკარგა საკუთრება. ამის საწინააღმდეგოდ მფლობელმა საკუთრების ხელმეორედ მოპოვების ფაქტი უნდა დაამტკიცოს.¹²³

¹²⁰ Baldus, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 1006, Rn. 21, 26, იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2018, 52

¹²¹ Baldus, in MüKo BGB, 6. Aufl., 2013, § 1006, Rn. 43; Bassenge, in Palandt BGB Kommentar, 63. Aufl., § 1006, Rn. 4. იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2018, 52

¹²² Baldus, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 1006, Rn. 49, იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2018, 52-53

¹²³ Bassenge, in Palandt BGB Kommentar, 63. Aufl., § 1006, Rn. 8, იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2018, 53

კონკრეტულ საქმეზე ¹²⁴ სამოქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს სარჩელი, რომლითაც მოსარჩელები მოპასუხის - საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ა. ქ-ძის მიმართ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებას ითხოვდნენ, იმ საფუძველზე, რომ სასამართლო აღმასრულებლის მიერ ა. ქ-ძისთვის შეფარდებული სასჯელის აღსრულების მიზნით აღმასრულებელმა არასწორად დაადო ყადაღა მათ მოძრავ ნივთებს. სააპელაციო პალატის დაკვეთით, მოპასუხემ სადავო გახადა ამ ნივთებზე მოსარჩელეთა კუთვნილება, ხოლო საქმეში ამ ფაქტის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი არ ყოფილა. პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ მოწმის ჩვენება არ არის საკმარისი სადავო ფაქტის დასადასტურებლად და სარჩელის დასაკმაყოფილებლად. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ყადაღადადებული ქონება კასატორების საკუთრებას არ წარმოადგენს და ახალი გადაწყვეტილებით, რომელიც დააფუძნა “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლსა და სკ-ის 158-ე და 151-ე მუხლებზე, სარჩელი დააკმაყოფილა.¹²⁵

“სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ მოვალის კუთვნილ მოძრავ ქონებას. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმფცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება. ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, დავეყრდნოთ მფლობელის კეთილსინდისიერებას და იგი საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ნივთის მესაკუთრედ მივიჩნიოთ. საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნილების მესაკუთრედაც მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისთვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. საცხოვრებელი ბინა რეგისტრირებული მოსარჩელის სახელზე, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ამ ბინაში განთავსებული ნივთების მესაკუთრე და

¹²⁴ სუსგ, Nას-1101-1050-2014, 6 თებერვალი, 2015 წელი; საქმე Nას-586-561-2016, 29 ივლისი, 2016 წელი; საქმე Nას-1138-1094-2016 20 იანვარი, 2017 წელი, ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 50

კეთილსინდისიერი მფლობელი მოსარჩელეა. სკ-158-ე მუხლის პირველი ნაწილით ცალსახად დადგენილია, რომ ნივთზე მფლობელის უფლებამოსილების არამართლზომიერების მტკიცების ტვირთი უფლების შემცილებელს აწევს. მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურატურას უნდა დაემტკიცებინა მოსარჩელის მფლობელობაში არსებულ ნივთებზე მფლობელის არაუფლებამოსილებისა და ამ ნივთების მოპასუხისათვის კუთვნილების ფაქტი, რაც არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე სასამართლომ პრეზუმირებულად მიიჩნია მოძრავ ნივთებზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლება.¹²⁶

4.2 რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია

„საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ სსკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია მნიშვნელოვანი გამოვლინებაა სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპისა. ეს სამართლებრივი ფიქცია სერიოზული გარანტიაა კეთილსინდისიერი პარტნიორის უფლების დაცვისათვის. წარმოვიდგინოთ შემთხვევა,“¹²⁷ ა-მ ბ-სგან საკუთრებაში შეიძინა საცხოვრებელი სახლი. შემდეგ გაირკვა, რომ ბ. კი არა გ. ყოფილა სახლის მესაკუთრე. მოკლედ, ამ არამართლზომიერი, სამართლებრივ საფუძველს მოკლებული განკარგვის გამო ერთმანეთთან კონფლიქტში მოდის სახლის შემძენისა და მისი ნამდვილი მესაკუთრის ინტერესები. ამ კონფლიქტის მოხსნის საკანონმდებლო გადაჭრა შეიძლებოდა ორი გზით განვითარებულიყო: პირველი - საპატიოდ მიგვეჩნია მესაკუთრის მდგომარეობა, რომლის ნების საწინააღმდეგოდაც გასხვისდა აღნიშნული ქონება, დაგვეცვა მისი ინტერესი და შემძენისათვის ჩამოგვერთმია ქონება. ამას შედეგად მოჰყვებოდა შემძენის ინტერესის დარღვევა; მეორე - პატივსადაც მიგვეჩნია შემძენის ინტერესი და საკუთრება შეგვენარჩუნებინა მისთვის. ეს უკვე გამოიწვევდა ქონების ნამდვილი მესაკუთრის ინტერესის უარყოფას და იგი მხოლოდ იმ საზღაურს

¹²⁵ იქვე

¹²⁶ იქვე, 50-51

¹²⁷ Schwab, Prutting, Sachnrechi, 25 Auflage, Munchen, 1994, § 85. იხ. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 2003, 366

უნდა დასჯერებოდა, რისი მოთხოვნის უფლებაც არამართლზომიერი გამსხვიებლის მიმართ ექნებოდა. აქ ისეთი ვითარება ყალიბდება, როცა პატივსაღებ ინტერესთაგან ერთ-ერთს უნდა გაეწიოს ანგარიში და მეორე “მსხვერპლად” შეეწიროს. სსკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილი შემძენის სასარგებლოდ წყვეტს ამ კონფლიქტს სწორედ საჯარო რეესტრის საშუალებით. ჩვენი მაგალითიც ის გამონაკლისია, რაც შეიძლება “შემთხვევს” საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებას.¹²⁸

საჯარო რეესტრის ნამდვილობის პრეზუმფცია ეხება მხოლოდ ამ რეესტრში რეგისტრაციაუნარიან უფლებებს და არა რეგისტრაციაუუნარო უფლებებს. პირველს მიეკუთვნება საკუთრება და შეზღუდული სანივთო უფლებები, ხოლო მეორეს - ისეთი უფლებები, რომელთა ნამდვილობა არაა დამოკიდებული მათი რეესტრში რეგისტრაციაზე. რეესტრის სისწორის ვარაუდი შემძენს უადვილებს უფლების მტკიცების პროცესს. რეესტრის მონაცემთა უსწორობა მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს, შემძენი შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ რეესტრის აღნიშნულ ვარაუდს.¹²⁹

სანივთო სამართლებრივი პრეზუმფციები - მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია და რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, რომელიც ემყარება ერთი მხრივ მხარეთა კეთილსინდისიერების, ხოლო მეორე მხრივ, კანონიერი ნდობის პრინციპს, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ხელს უწყობს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების უკონფლიქტოდ მოგვარებას და სამოქალაქო ბრუნვაში სტაბილურობის შენარჩუნებას. ამ ორი პრეზუმფციის არსებობით მხარეებს გარკვეულწილად უაღდვილდებათ ფაქტის - საკუთრების მტკიცების პროცესი, რადგან პირველ შემთხვევაში დავის არსებობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება მესაკუთრეს და არა მფლობელს, ხოლო მეორე შემთხვევაში - მოდავე მხარეს და არა შემძენს.

¹²⁸ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 2003, 366-367

¹²⁹ იქვე, 367-368

თავი 5. პრეზუმფცია შრომითსამართლებრივ დავებში

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ორი ძირითადი წესი: ზოგადი წესი, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად ეკისრება თითოეულ მხარეს და სპეციალური წესი, რომელსაც თავად გამოსაყენებელი მატერიალური ნორმა აწესებს. შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს და, ამდენად, სასამართლო ხელმძღვანელობს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური სტანდარტით, რომლის თანახმადაც, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული, ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. ამგვარი სტანდარტის გამოყენების ნორმატიულ საფუძველს ქმნის ის, რომ დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები.¹³⁰

შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესზე. სასამართლომ მიუთითა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N158 კონვენციაზე „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“.

¹³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.02.2019 განჩინება, საქმეზე №ას-1329-2018. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.12.2018 განჩინება, საქმეზე №ას-1274-2018, იხ. მესხიშვილი ქ. კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი 2020, 188

სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული კონვენცია შეიცავს საკმაოდ საინტერესო და, ამავე დროს, განსახილველი სამართალურთიერთობისათვის მნიშვნელოვან დანაწესს, რომლის თანახმადაც, კონვენციის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონიერი მიზეზის მტკიცების ტვირთი უნდა ეკისრებოდეს დამსაქმებელს. მით უმეტეს, შრომითი ურთიერთობა თავისი არსით ბუნებრივად ეხება ისეთ მხარეებს, რომლებიც მთლად ჰორიზონტალურ სიბრტყეში ვერ იქნებიან აღქმულნი ერთურთის მიმართ. დამსაქმებელი ასეთი შინაარსის სამართალურთიერთობაში წარმოადგენს ხელშეკრულების ძლიერ მხარეს; მას მიუწვდება ხელი ყველა იმ საჭირო მექანიზმსა და მონაცემზე, რომლებითაც შრომითი ურთიერთობის რაიმე სახის ცვლილება უნდა დასაბუთდეს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებელი იღებს გადაწყვეტილებას უკვე დამკვიდრებული და წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული კონკრეტული შრომითი ურთიერთობის, ასე ვთქვათ, „თამაშის წესების“ ცვლილებაზე, სწორედ დამსაქმებელი ხდება პირი, რომელმაც მის მიერ გამოვლენილი ნების მართლზომიერება უნდა ამტკიცოს მის ხელთ არსებული შესაბამისი ინსტრუმენტებით. სწორედ დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს, რომ მის მიერ გამოვლენილი ნება შესაბამისობაშია როგორც შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლის წყაროებთან, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლთან, რომლის თანახმადაც, ყოველი სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად.¹³¹

ერთ-ერთ საქმეზე¹³² სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სადავოა რა სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერება, რომელიც უნდა შემოწმდეს შრომის სამართალში მოქმედი ნორმებით, სასამართლო ხელმძღვანელობს მტკიცების ტვირთის განაწილების სწორედ იმ სტანდარტით, რომელსაც შრომის სამართალი აწესებს და რომლის თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული, ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. საკასაციო პალატის ამგვარი დასკვნის საფუძველია პრინციპი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ

¹³¹ შველიძე ზ., შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული), თბილისი 2020, 142-143

მისმა თანამშრომელმა არაჯეროვნად შეასრულა დაკისრებული მოვალეობები ან მას არ გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია ან არ ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს. სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგნისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხე მხარე წარმოადგენს სააგენტოს, რომელსაც გააჩნია დოკუმენტაცია, დამსაქმებელს ეკისრება მის ორგანიზაციაში დასაქმებული პირის გათავისუფლების საფუძვლის მართლობიერების მტკიცების ტვირთი.¹³³

ამრიგად, მტკიცების ტვირთი შრომითსამართლებრივ დავებში ნაწილდება სპეციალური წესის შესაბამისად, რადგან მტკიცების ტვირთის განაწილების ამგვარი წესის, ისევე როგორც პრეზუმფციათა გამოყენებით ხდება მხარეთა შორის, კერძოდ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული არათანაბარი მდგომარეობისა და შესაძლებლობების დარეგულირება.

¹³² სუსგ, საქმე Nსს-469-450-2016, 29 ივნისი, 2016 წელი, იხ. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018, 65

¹³³ იქვე, 65-66

დასკვნა

სამოქალაქო სამართალწარმოებაში, რომელიც მთლიანად მხარეთა შეჯიბრებითობაზეა დამყარებული, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მტკიცების პროცესს და მტკიცების ტვირთის განაწილებას მხარეთა შორის. სასამართლო მტკიცება, როგორც შემეცნების გაშუალებული ფორმა, სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული საქმიანობაა, რომელიც მიმართულია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა - დადასტურებაზე. სასამართლო კი სწორედ გამოკვლეული ფაქტების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას და ადგენს საქმის საბოლოო შედეგს. ამრიგად მტკიცებაზეა დამოკიდებული მხარეთა დარღვეული უფლებების აღდგენა და მათთვის ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი შედეგის დადგომა. დარღვეული უფლების დაცვის გარანტს წარმოადგენს ასევე მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება.

მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს ადგენს სსსკ-ის 102-ე მუხლი, რომელსაც ცვლის მტკიცებულებითი პრეზუმფციები ე.წ დადასტურებული ვარაუდი, რომლის გამოყენების აქტუალურობასაც განაპირობებს მისი, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძვლის სამართლებრივი ბუნება.

სამოქალაქო კანონმდებლობა არ შეიცავს პრეზუმფციათა დასრულებულ სისტემას და მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის დადგენა ძირითადად სასამართლო პრაქტიკით ხდება. წარმოდგენილი ნაშრომი და მასში განხილული სასამართლო გადაწყვეტილებები კი ზუსტად და მკაფიოდ წარმოაჩენს პრეზუმფციათა როლსა და მნიშვნელობას მტკიცების პროცესში.

ნაშრომში მოცემული სანივთო და შრომითსამართლებრივი პრეზუმფციებიც ცხადყოფს, რომ მათი არსებობა მხარეებს გარკვეულწილად უალღვილებს ფაქტის - საკუთრების მტკიცების პროცესს, ხელს უწყობს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების უკონფლიქტოდ მოგვარებას და სამოქალაქო ბრუნვაში სტაბილურობის შენარჩუნებას. ასევე დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული არათანაბარი მდგომარეობისა და შესაძლებლობების დარეგულირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მიზანშეწონილია გარკვეული ცვლილებების შეტანა არსებულ ნორმატიულ ბაზაში, ასევე უმჯობესია ცალსახა კონკრეტიზაცია, სიცხადის შეტანა და დაინტერესებულ პირთათვის პრეზუმფციათა დეტალურად ჩამოყალიბებული სისტემის შეთავაზება, რათა მოხდეს სამოქალაქო სამართალწარმოების მონაწილეთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება და სამოქალაქო სტაბილურობის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ქართულ ენაზე:

1. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“.
2. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი 2005.
3. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2013.
4. ხუბუა გ., სამართლის თეორია.
5. მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, სტატიათა კრებული, ნუნუ კვანტალიანის რედაქტორობით, თბილისი 2016, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.
6. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა), თბილისი 2007.
7. მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და პრაქტიკა, ტომი I, თბილისი 2020.
8. ახალაძე მ., მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი 2018.
9. შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბილისი 2014, გამომცემლობა „მერიდიანი“.
10. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 2018.
11. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 2003.

12. შველიძე ზ., შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული), თბილისი 2020.

უცხო ენაზე:

Mike Redmayne - „Standards of Proof in Civil Litigation”

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია - მიღების თარიღი: 24/08/1995 (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>).
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - მიღების თარიღი 14/11/1997 (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=143>).
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - მიღების თარიღი: 26.06.1997 (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=111>)
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია - მიღების თარიღი: 11.05.1994 (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>)

ელექტრონული მისამართები:

www.matsne.gov.ge
www.library.court.ge